

F567  
2000

საქართველო  
სახალხო კულტურის  
მინისტრი




თეატრი

ფს

2  
2000

ტეატრის

କ୍ରିଟିକ୍ ପାଇଁ ଅଧିକାରୀ



# თეატრი და

## ცხოვრება

თეატრის  
ცხოვრების  
გამარჯვებული

ჩერაქია  
განააგ ააოთავაიღ

საჩერაქიო კორეგო

გოგი აღვარიშვილი,  
მოგ გაგამაიღი,  
ცოდან გაგანაციშვილი,  
ვაცილ ძირცხვა,  
პოვარი ცემანა,  
გორგამ გამოთანაცვა,  
ცალელა უკავაცვა,  
თავურ ჩხილაცვა,  
თავაგ ჰიდაცვა.

2

2000

მარტი  
აპრილი


1913-1926 „თეატრი და ცხოვრება“

1950-1990 „თეატრალური მოამბე“

საქართველოს თეატრის მოღვაწია ქავშირი

ქართული თეატრის განახლების 150 წლისთავისათვის	1
ნათელა ურუმაძე — თეატრის წარსული	
ნადა შალუტიშვილი — ქართულ-უკრაინულ თეატრალურ	
ურთიერთობათა სათავეებთან	9
დავით თევზაძე — თვალის ერთი გადავლებით	15
<b>სპექტაკლები</b>	
თეა კახიანი — „ცხოვრება იდიოტისა“	22
თამუნა მუქურია — ნუ მიგვატოვებ, მზეო	29
გაა ცხოტიშვილი — საჩდაური	32
ნინო მაჭავარიანი — რამ დაასუედიანა ანტონიო?!	36
<b>ისტორია</b>	
ნათა ასათიანი — დავით კავაბაძე თეატრში	41
<b>თეორია</b>	
შარინა ხარატიშვილი — ექსპლიკაცია — მომავალი სპექტაკლის საფუძველი	52
გოგო ქაუთარაძე-60 — ედ. მევარენაძე, სომქ., გ. ლორთქიაფანიძე, რ. სტურუა, თ. ჩხიძე, ნ. გურაბანიძე, გ. ბათიაშვილი	67
<b>დიალოგი</b>	
ნინელი ჭანვეტაძე — ჩემთვის წინა პლანზე მაინც ბატონი მიშა იყო — 68	
ლადო მექაბიშვილი — ფარსმან ხინდულაშვილი	77
<b>მოგონება</b>	
ვეტრინ ნინიძე — ღაუვიწყარი წლები	80
გულბათ ტრიაძე — ასეა საჭირო! ჩირა ფუჩხაბის ხსოვნას/	87
გულიყრ მამულაშვილი — სამგლოვარო რიტუალები „შაპ-ნამეს“-ს ქართული ვერსიების გათვალისწინებით	88
<b>პიესა</b>	
ალექსანდრე პუშკინი — „მოცარტი და სალიერი“	95
<b>იუმორი</b>	
კლადიმერ მოდებაძე — რა არ ხდება თეატრში!	101
ანოტაცია ინგლისურ ენაზე	104

ქართული თეატრის განახლების  
150 წლისთავისათვის



ნათელა ეჩემაძე

## თამაზის ცაკცალი

იმისთვის, რომ წარმოიდგინოთ, რა სირთულესთან გვაქეს საქმე წარსული თეატრის შესწავლისას, უნდა გადაეცემოთ ჩვენს დღევანდელობას – სახოგადოებრივი ცხოვრების რანაირ გარემოცვაშია, რით ცოცხლობს დღევანდელი საქართველო, სცენის მოღვაწეები და მათ მაყურებელები, კრიტიკა და ა.შ. ანუ რაში უნდა გაერგვეს თეატრის მომავალი ისტორიებისა, რომლისთვისაც ეს ყოველივე მხოლოდ ანარეკლებში არსებებდეს.

თეატრის წარსულს მომავალი თაობის ისტორიები იყველებს არა მხოლოდ აღრე არსებულის ანარეკლების შესწავლით, არამედ მის დროის სათეატრო ხელოვნების ცოდნის მომარჯვებითაც – ის სპეციალისტთა და აქვს საკუთარი შეხედულება სათეატრო ხელოვნების რაობაზე. წარსულში განვევება მხოლოდ წარსულისადმი ინტერესით არ შემოიფარგლება – იმ წარსულში ხომ მისი დღევანდელობის საძირკველია! ასე რომ, წარსულის მკლევარი დროითა კავშირსაც აქვარებს. სწორედ ა'იტომ აღლვებდა ჩვენს დიდ წინაპარ ილია ჭავჭავაძეს ისტორიისადმი გულგრილისა და ლამის მრისახელ შეასხენებდა გასული საუკუნის მიწურულს თანამემამულებებს, რის მომასწავებელია ეს გულგრილობა: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ ისხენება ის მაწანწალა ბორგანა, ვასაც აღარ ახსოებ – ვინ არის, საიდამ მოიდის და სად მიდის. ისეც ერად სახენებელი არ არის იგი, რომელსაც დმტერთი გასწყობითა და თავისი ისტორია არ ახსოება.“

რა არის ისტორია? – იგია მთხოობელი მისი, თუ – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავდაც.

ისტორია თავის გულის ფიცარხედ იჭდებს მარტი სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარეკ გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომაღლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის“ (ი.ჭავჭავაძე. დავთ აღმაშენებელი. 1888). უკეთესად ვერ იტევი.

ისტორიის შესწავლა წარსულში გამტავრებაა, აღრე, ზოგჯერ უთვალავი წლის წინანდელ აღმიანთა ცხოვრებაში გამტავრება. გზის გამტავლავი მათი ცხოვრების დღემდე შემორჩენილი ნაკალევაა. ამიტომ, წარსულში ნებისმიერი გამტავრება მრავალი უცნობითა და საიდუმლო შინაარსებითაა აღსახეს, რაც მას უჩემდელო სურნელებით აქვთს. გამტავლი წარსული წარმტაცა სამყაროა.

ადრინდელის ნაკვალევი, მისი ანარეკლები საგრიბოი არსებული ათასნაირი ფაქტია. ისტორიების აგროვებს ამ ფაქტებს და აღენს მათ მორის არსებულ მიზეზობრივ

კავშირებსა და ყოველი მათგანის ღირებულებას. ერთმანეთისაგან გამოირჩეს შემთხვევითსა და აუცილებელს, რაღაც კანონზომიერებასთან აუცილებელ ფაქტებსა და კავშირებს მივყავართ. ისიც ცნობილია, რომ მოვლენათა განვითარებას განაპირობებს არა შემთხვევითი ფაქტები, არამედ ობიექტური კანონები. მძიმელი უკანასკნელი მიღწებაა. კვლევის პრაქტიკულა შედეგიც ამჟამა, მცინოერების ძალაც, რაღაც ძირითადი კანონზომიერების დაღვენის შემდეგ ჩარსულის თეატრის რთული მთლიანობის ყოველი ცალკეული სფეროც უფრო ნათლად ჩარმოიჩინდება.

ცნობისწადილი ადამიანის ცხოვრების მუდმივ თანმდევეა. მას აინტერესებს ის, რაც ჯერ არ იცის - „ეს რა არის?“, „ეს რა იყო?“ „ეს რა იქნება?“ და სხვა ამგვარი ხომ ბაშვებიდან იწერდა და არ მთავრდება!

წარსულის კვლევის აუცილებლობაში ჰქვა: „არავის გაპარება, აյი წერს ივანე ჯავახიშვილი: „ეროვნული თვთმეუცნების გამოღიძებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის, წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლიოზე გველობას აფაროւებს და იძალებს დროს სურვილის სიძრიშვილს და საციტიფლანობას ანაჭებს“ („ერთგვილი ერის ისტორია“).

საძირკულოს ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი შეწავლის პროცესში აღამიანს აქტუალურია და მომავალთა შეხვედრის უნარი უმუშავდება. ამიზრომ წარსულის თეორიული ცოდნა აქტუალი გარკვევისა და, შესაბამისად, მასში ჩარევის პრაქტიკულ იარაღად გადაიქცევა ხოლმე.

წარსულის ცოდნა განსაკუთრებით აუცილებელია იმ დროს, როდენაც აქმო ცხოვრებაში იგრძნობა მიმღინარე ცვლილებები და საჭირო სტანდარტები არსებული სათვის ახალი სახის – სიტყვები, ცნებები არსებობის სახის მინიჭება. არსებობის ეს სახეობა ისტორიულის თანამედროვე ადამიანებზე ზემოქმედების მძლავრი საშუალებაება. ამით ემსახურება იგი მისი დროის ადამიანთა პროცენტებს პრიმონტის გაფართოებას და აქმო, თანამდებობის გარკვევის შესაძლებლობას.

ადამიანი აწერსაც კვლევს და წარსულსაც. აწმოთ – თვითმხილველი, წარსულს კი – მომღვენო თაობები. ყოველ ამ ქველევას აქვს კონკრეტული ობიექტი, რომელიც, რადა თქმა უნდა, კვლევის გზება და საშუალებებსაც უანაბირობებს. თეატრის ისტორიის მეცნიერისათვის ეს ობიექტი არის თეატრი, სცენის ხელოვნება.

თეატრი ხელოვნების ერთ-ერთი დაწყება. მისი ენა - სცენაზე მოქმედი აღმასინების ცოცხალი კაშშირების გარეული სისტემა, მთლიანობა, რომელსაც ეწოდება წარმოლებება, სპექტაკლი. თეატრის ენა თვით ცოცხალი ქმედებაა, ცოცხალი ქცევები. მისი მხატვრული ნაწარმოები პროექტულურია, დროში მიმდინარე. ასე იყო მუსებ.

სპეცტაკლში მრავალი ხელოვანია ჩატული: მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი, ქორეოგრაფი, რეჟისორი, მსახიობები. მსა თბილი გმირები სცენაზე სკუთარი, მათვები უძინესების სურვილებითა და მისწი აუკეთესობით არიან ამოქმედებული, ღვლავენ, იძრძვიან, სძლოთ, უყვართ, სხადიან შესაბამის ქცევებს... ასეც ეწოდებათ – მოქმედი ჰირები. ჩვენ ვადევნებთ თვალს მათ სცენურ ცხოვრებას, – ვართ მათი მაფურუბებლები.

თეატრი მხოლოდ ერთ ენაზე ყრ უბინბს - მაგურებელს მიმართავს კველა ხელოვნების ენით: სიტკით, მოძრაობით, ფერით, ხაჩით, მუსიკალური ბერით, ყოველნაირი ხმოვანებით, იუნებს ნივთებს, საგნებს, განათებას, შუქ-ჩრდილებს და ა.შ. ეს ყოველივე შერწმულ-შედედაბებული, მიზანსცენათა ნაკადად იძლევა სცენის სირცეში.

მწერალთან შემოქმედებითი დაწყვილება ორი დიდი ძალის – ლიტერატურისა და სცენის, ცოცხალი სიტყვისა და ცოცხალი ქცევის – გაერთიანებაა. მხოლოდ დრამატურგთან შეერთებით შეუძლია თეატრს საყუთარო ენით იღაპარაკოს ცხოვრების ურთიერთობის ადგილი დიდად განაპირობებს თვით სანახობის თავისებულების როგორც სადადგმო საშუალებათ თვალსაჩრიისით, ისე შსახიობთა და მაფურებელთა ურთიერთობის თვალსაჩრიისთაც.

სცენის ხელოვნება მისი დროის ხელოვნებაა. მას ქმნინ ამ დროის შსახიობები და ამავე დროის მაფურებლისათვის. აღვიძებენ მასში საპასუხო ემოციებს, იწევენ შესატყვეს ასოციაციებს, პზრებს, გარკვეულად წარმართავენ მის ფიქრს და ნებას. ასე ისტურებენ თეატრიდან, თან ატანენ გრძნობისა და აზრის ტვირთს იმისთვის, რომ შემდეგ მაფურებელმა თვითონ იფიქროს სპექტაკლში დასმულ პრობლემებზე. ამაშია სცენიდან მიღებული ესთოტიკური სიამორნების საუკეთესო შედეგი. ამისთვის არსებობს თეატრი. ესაა მისი უდიდესი მოქალაქეებრივი დანიშნულება.

ხელოვნების სახეობათა ძალები სცენიდან ჩენებები ერთად მოედინება – სიტყვაც, ბგერაც, ფერიც, ხაზიც და ემსახურებიან იმას, რაც მხოლოდ სცენის კუთვნილებაა – სცენის მოქმედ ცოცხალ შსახიობს, სხვისი სახით რომ მოქმედებს.

რაც სცენაზე, კელაფერი სახეობრივ მეტველი უნდა იყოს – გარემოც, სახმარი ნივთებიც და საგნებიც, განათებაც, ხმოვანებაც და, რაც მთავარია, – ქცევა, მოქმედება.

სცენაზე წარმოდგენილის ცალკეულ ნაწილებს ერთმანეთთან მაფურებელი აერთიანებს, ხოლო სპექტაკლი, როგორც მთლიანობა, მის შესსიერებაში იყრება მშინ, როდესაც იგი დასრულდა და ფაქტორივად აღარ არსებობს. განა სახწაულებრივი არაა მაფურებლის ეს განსაცილებელი უნარი?

წარმოდგენში მაფურებელი ზედაეს არა ცალკეულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მოელენებს, არამედ მოვლენათა ორგანული კავშირების ჯაჭვს, მოქმედ პროა ურთიერთობებს, ამ ურთიერთობათა განვითარების ხილულ პროცესს. ეს პროცესი ყოველ წარმოდგენზე ხელახლა იძალება მონაწილეობა ან იმავე ან შეცვლილი შემადგენლობით (როცა დუბლიორები თამაშიენ), მაგრამ მაფურებელთა დარბაზის შემადგენლობა უფორო სხვაა. ამის გმო, სცენასა და დანბაზეს შორის კონტაქტიც განსხვავებულია. მაშასადამე, არც ორი სრულიად ერთნაირი წარმოდგენის არსებობაა შესაძლებელი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იცვლება ხელტაკლის მიზანი და მხატვრული პრინციპი. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იმავე მიზნისა და იმავე პრინციპის განხორციელება იწნავ განსხვავებულად მიმდინარეობს.

სცენიზონ ნაწარმოებს არსებობის მხოლოდ ერთი დრო აქვს – აწმეო. ამიტომ ის არ არსებობს ცოცხალი შსახიობისგან გამოცდავებით, როგორც საგანი, საუკუნეების განმავლობაში რომ შეუძლია იარსებოს მისი შექმნელი ხელოვნისაგან დამოუკიდებლად (წიგნი, სერაიო, ქანდაკება, სანოტო პარტიტურა და სხვ.). ამიტომ არაა ჩელთ წარსული სცენური ქმნილებანი.

თეატრის მხატვრული ნაწარმოები არ არსებობს მაფურებლის გარეშე, იმ უცნობი აღმიანების გარეშე, რომლებიც მან მოიხმო კველა მის ხელთ არსებული საშუალებით, ერთ დარბაზში გააერთიანა და ერთი საღამოს განმავლობაში კველაფერი იღონა იმისთვის, რომ მათთან სცენიდან კლაპარაკა იმსწერ, რაც აღლვებს, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნია დღეს ცხოვრებაში.

კველა თეატრის წარმოდგენა გარგვეული ეპოქის უკატრის წარმოდგენაა და ამ

დროის კუთვნილება. მაშასადამე, მისი ამსახველიცაა.

დროს მისი თავისებურების განმაპირობებელი უძმრავი ნიშანი აქვს. მაგ ჰორას მუდამ არსებობს ორი ჯგუფი - გარეგნული და შინაგანი.

გარეგნული ნიშნები - ყოფა, საგანთა სამყრო, ნივთიერი გარემო, მოდის წერილმანებიც კი, გატაცებანი, საგზეთო შეტყობინებანი და ბევრი სხვა ამგარიც მნიშვნელოვანია „დროის სუნთქვის“ აღსაღენად და შესაგრძნებად, რათა შემდგომ გააჩრებული იქნას. მით უფრო, რომ არც ერთი ეპოქა არაა ერთი ფერით ამტკველებული.

ი.სოლოვიოვის წიგნიდან „ელენემიროვიჩ-დანჩენკა“: „...1914 წელი... პეტრეს სახელობის ვიწრო ქუჩა საქაურა ხელნაწერებით, ფეხით ზედ გადავლილი წიგნებით და შეშის ნამსხვრევებით: გამომცემელი ოქებელი „რუსელი ხელოვნების ისტორიის“ გამოცემას აპირებდა. თორმეტი ათასი ნეგატივია დამტკრეული - საგანგებოდ გადაღებული სიძეველეთა ნიმუშები. მათი აღდგნა შეუძლებელი აღმოჩნდა. მით უფრო, რომ მალე ბევრი ის ძეგლი დაიღუპა ... ფოტოგადაღებისთვის შეგროვილი ორასი ფერწერული სურათის დადგნები ნაკუშებად ქცეულა. სწორედ იმ დროს დაამტკრის მუსიკალურ საკრავთა გერმანული ფირმის მაღაზია და გაისმა სამინელი, გაუგონარი ხმა მეორე სართულიდან გადმოგდებული საკონცერტო როიალისა“ /გვ.47/.

კ.შელოესკის მოგონებიდან: „მაშინ ითვლებოდა, რომ რევოლუცია წარლენაა, „წარლენამდე“ არსებული კი ფელაუერი სიცრუეა. ამიტომ ფელაუერი თავიდან უნდა დაიწყოს. ნერევის ამ პათოსის საძირკელი იყო სიხარული და არა გონიერება. ისიც ითვლებოდა, რომ სასურველია სიტყვები რაიმე ახალი ნიშნებით შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში, უნდა მოისპონოს ის, რაც ღოდესაც მხატვრულობად მოიხსენიებოდა ანუ ის, რაც არ იყო პირდაპირი და ერთმიშონელოვანი. ამგვარი რამ საეჭვოდ იყო მიჩნეული“ /კრიტ. ს.ეზნეშტეინი. გვ. 70/.

ეპოქა თეატრშიც აისახება - სცენაზე ხომ ადამიანები ცხოვრობენ, მათ ყოფაც და ცხოვრების წესიც თავისებური აქვთ. მოსკოვის სამსატერი თეატრში ლოტოლსტრის „ნანა კარენინას“ დადგმისათვის მზადების დროს მარტინ გარემოს მართლმაგარობაშე არ ზრუავდნენ, არამედ იმაზედაც საგნგებოდ მუშაობდნენ, თუ როგორი იყო იმ დროის რუსეთის უმაღლესი სასოფგადოების ცხოვრების, მათი ურთიერთობისა და ქცევის წესები. საგანგებოდ მოწევეული კონსულტანტები მსახიობებს ასწავლიდნენ იმდროინდელი სამხედრო სამოსელის და იმ დარაიის ტარებას, რომელიც მუდმ თან უნდა პეტონდათ. მსანიობებთან მუშაობდნენ იმაზედაც, რომ მათ მიეღწიათ ქცევის იმ გარეგნული ფორმისათვის, რომელიც შესატყვისი იქნებოდა ეპოქის სტილის და მოქმედი პირის ხასიათისთვის.

იგივეს ადასტურებენ ისინი, ვინც ესწრებოდა კოტე მარჯანიშვილის მუშაობას „ურიელ აკოსტენტე“, რათა პ.ოცხელის მიერ უწეველოდ შემოსილ მოქმედ პირთა პლასტიკა ასეთსავე უწეველო სცენოგრაფიას შერწყმოდა და სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტის საერთო სტილი არ დარღვეულიყო.

რაგინდ განსხვავებული იყოს ადამიანთა ცხოვრების გარეგნული ნიშნები, ერთი საერთო ნამდვილად აქვთ - მათში კონკრეტული დროის ადამიანთა შინაგანი ცხოვრება გამოსჭვივის. ეპოქა ნიშნები თვით ადამიანებშიცაა ჩაბუღებული, თუმც ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული არიან. ადამიანთა თავისებურება განუყოფელია იმ

სახოგადოებრივი ატმოსფეროსგან, მის დროს რომ ბატინიძეს, ეს ატმოსფერო ადმინისტრაციული მექანიზმის და, ცხადდა, გამოვლენითაც ისინი ავლენენ მას. პ.ი.ისენის შემოქმედების მექანიზმის „ორგანიზაციის სახლის“ მთავარი გმირის – ნორას ამბოხებას საკუთარო ჯაჭვი იმ ეპოქის ატმოსფეროს გამოვლინებად მიიჩნევენ. ცნობილი რუსი კრიტიკოსი პ. მარკოვი მისი დროის ახალგაზრდობის შინა განწყობილებაში რევოლუციის სულისკეთებას ხედავს: „ოქტომბრის დღეები დაიღული და შშენიერი იყო. ჩვენ გვიტაცებდა რევოლუციურ გარდაქმნათა მასშტაბები და თვით ოცნება სამყაროს გარდაქმნახ. გვევრონა, რომ ეს უახლოეს დღეებში განხორციელდება. ჩვენ არ განვიდიდით რუსეთის ინტელიგენციის უფროსი თაობისთვის დამახასიათებელ მერყეობას – „მივიღო“ თუ „არ მივიღო“ რევოლუცია /უფრო. „ტეატრი“. 1967. № 10/.

პ. მარკოვისგან განსხვავებით, ლ. ნიკულინი უფროსი თაობის წარმომადგენელ კოტე მარჯანიშვილს წერს: „მარჯანიშვილი შეიგრძნობდა ქვეყნებსა და ეპოქებს ისეთი სიმძაფრიით, რომლის მსგავსი უნარი არ ჰქონია ბევრ გამოჩენილ რევისორს“ /კრებ. კ. მარჯანიშვილი. 1958. გვ. 455/.

შინაგან ნიშნებით შიდათეატრალური ატმოსფერო და თავისებური, უკვე „ადგილობრივი“ სირთულეებიც შედის. აյ ინტერესთა თმაში ბუნებრივია, რადგან ყველას უნდა როლი და წარმატება, უნდა განუწყვეტილოვ. ამის გამო აღრე ახლობელი მეგობრები შემდეგ მოპირისპირენიც ხდებან, ერთმორწმუნეთა გაერთიანება, როგორც წესი, იშლება...

ბევრს და საინტერესოდ წერენ ამის შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებს სახოგადოებრივი ცხოვრება თეატრში.

აღ. სტებათაშვილი: „როდესაც ცხოვრების ფუთებადი ძალები გამწვავდებიან, ხელოვნება მათ სეისმოგრაფის მგრძნობიარობით ასახავს და აუცილებლად კარგას მისთვის ჩვეულ მარად თანაბარ შუქს. იმ სიდიადეს, რომელსაც ითხოვდა პუშკინი მშენიერისგან.

ხელოვნების შუქი იწყებს შფოთვას, ბორგვას, აქეთ-იქით წყლომას, ხან ააღდება, ხან ქრება. მსგავსად ფისს ჩირადგანისა, მისი ალი ქარისაგან მიწას ისე გაეცება, თითქოს გორგადკარგულს სურს მოწყდეს ცეცხლს, მაგრამ არ ძალუდს, რადგან მაშინ ის სამუდამოდ ჩაქრება.

როგორც კი ჩაცხრება ქარი, ცეცხლი ისევ მედიდურად წელვამართული ისტრაფვის ცისქნ და ანათებს თავისი თანაბარი ძლიერი შუქით. თუ ამ ჩაცხრალი გრიგალის შეძლევ აღმოცენებულ შუქს უწრადებით ჩააცემორდებით, აუცილებლად შეამჩნევთ, რომ ეს შუქი თითქოს უფრო ძლიერია, უფრო მდიდარი, ვიდრე ეს გრიგალის ამოკარდამდე იყო. გასაგებიცა: გრიგალმა გადააცალა ნამწერი, რომელიც ხანგრძლივი სიმშეიდვის გამო გადაპოვარულა მშენიერის მუდმივ ჩირალდანს და რაღაც საიდუმლო ძალით წარმოაჩინა, რომ აღრინდელის მოსკობის მცდელობამ, სინამდვილეში, ცეცხლის აღს წვის ახალი ძალები შესძინა“ /აღ. სტებათაშვილის მიმართვა დასისადმი 1909 წლის 9 აგვისტოს/.

კ. სტანისლავესი მრავალგზის აღნიშვნადა, რომ მისთვის ძალშე მნიშვნელოვანია მსახიობში ეპოქის შევრბნობის უნარის განვითარება, რევისორებისგან კა მოითხოვს იმის ზუსტ განსახილვას, თუ დასადგმელად არჩეულ პიესაში, მის ტექსტსა და მოვლენებში რა არის ისეთი, რაც მათ წარსულ დროზე მიანიშნებას, რაჯგან ახლა

ამგვარი რამ არც მოზღვება და არც ითქმის. პ.მარკოვი მიიჩნევს, რომ ა.სტრინოვერვის „ერი XIV“-ის დადგმით ე-ვახტინგოვამ სცენაშე გამოიტანა ის განგაში, რომლითაც აღსასეს იყო სამოქალაქო ოძის წლების მოსკოვი. მ.ქებეგლი მოგვითხრულს, რაგორ მოითხოვდა ალ.პოპოვი რეფისორებისა და მსახიობებისაგან ეპოქას გნისხვების უდიდესობის შეგრძნობასა და გადმოცემას. ჩევნი დროის ცნობილი მსახიობა რ.პლიატი კი ასე აღწერს 30-იანი წლების საბჭოეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს: „ნამდვილი ბარბაროსობა იყო ისეთი თეატრების განადვურება, როგორც მეორე სამხატვრო თეატრი, ეს.მეინრამლდის სახელობის თეატრი, ებრაელთა და მოსკოვის კამერული თეატრი... საბჭოეთის თეატრის ყველა უბედურების სათავე 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება, როცა ი.სტალინმა გლეხობა უკვე გაანადგურა და შემოქმედებით ინტელიგენციაზე გადანაცვლა. ცნობილია, რომ მას განსაუზრუნებით უყვარდა მოსკოვის სამხატვრო თეატრი და კოველნაირად მფარველობდა მას. აქედან – მის თანამშრომელთა წარმოუდგენლად მაღალი ხელფასები, როთვიანი ანაზღაურებული შევბუღება, სახელმწიფო აგარაები და დაუსრულებული ჯილდოება. მაგრამ ეს კოველოვე არა წმინდა ხელოვნების სიყვარულის გამო, არამედ მორჩილებისა და ერთგულების სამაგიროდ... და თეატრმა იწყო ჭინიბა, ხმობა... საბოლოოდ, საბულველი თეატრები იხურებოდა, საყვარელი – ირყვნებოდა. ერთიც და მეორენიც იღუპებოდნენ“ /გზ. „მწვევსტია“. 13.დეკემბერი – 1988/.


ამ დროშე ითქვა: დრო სისხლს ანთხევდა პირიდან.

ამ წლებს ჩურჩულის წლებსაც უწოდებდნენ, იგუვებით სიმართლის თქმის წლებსაც, როცა მაყურებელი დაშვებულის მიღმა აკრძალულს ხედავდა. ეს ძალზე სახიფათო იყო.

ჩევნ დროშეც იწერება –

ჭ.აბირეჯიბი: „ჩევნი უბედურება ის არის, რომ „ზაგრანიჩნი“ ავტორებითა და ტერმინებით ვართ აღტეინებული. როგორც იტევიან, „ფეხქვეშ დავიხედოთ“ და „თურაშაულის პატრონი ტექში ნუ ვეძებთ პანტასა“, ქართულა მწიგობრობა, კაზმულსიტევირება დღიდან ქვეყნად განმინისა ამორდ არ დაშვრალა, სიკეთე და სიყვარული სთესა ჩევნია სპეალატ. გვექვარება თუ არა ერთმანეთი, ეს უკვე იმშე ჰყიდა, თუ რამდენად მუჟაითად და ღრმად ჩავწედებით წინაპართა ნაღვაწსა და ნააზრებს“ /გზ. „სრულიად არასაიღუმლოდ“. 1999. № 12/.

კოველოვე ეს და კიდევ მრავალი სხვა მასალა წარსული ცხოვრების ანარეკლებია. ანარეკლებს ისტორიუსები იყვლებან, ხოლო ქმნიან – თანამედროვენი.



ნატა შალექაშვილი

## მართა – ქართველ თეატრაზ უკომინათოათა ცათავებიან

ისტორიას არ ახსოვს, რომ რომელიმე ერი იხოლაციაში ყოფინისას არ ჩამორჩენილიყო მსოფლიო ცავილიზაციის განვითარებას. მაღალმა კედელმა შეუძლა ხელი ჩინები ხალხის წინსვლას, მსოფლიოს კულტურული ცხოვრებიდან გამოიიშული ჩრდილოეთის ხალხები, აფრიკის კონტინენტის ზოგიერთი ტომები სწორედ ამ იხოლაციაში მოწყვიტა მსოფლიოს ხალხების წინსვლას, პროგრესს, ეს აღიარებული ფაქტია...

სულ სხვა ბედი არგუნა ისტორიაშ საქართველოს, მისმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობა. იგი თითქოს ხიდია აზიასა და ევროპას შორის. ამ მიწის მცხოვრებლები მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ ახლო და შორეულ მეზობლებთან. თვით ისტორიამ ჩამოაყალიბა ქართული მენტალიტეტის გენეტიკურ სისტემაში ტოლერანტობა. უმძიმესი ისტორიის მთხელეად, ნიჭიერი და ცნობისმოვარე ქრისტიანი ხალხი ხარბად ითვისებდა ყოველივე ახალს. შეიძლება ამიტომაც მომხვდეულ მტერთან ბრძოლაშიც ყოველთვის ექცებდა კეთილისმსურველ, მეგობრულ ხალხებს, ხარბად იწოვდა მათგან კარგს და არც თვითის მიღწევების გაცემში იხევდა უკან. ამიტომაც იყო, რომ ხალხში ჩაისახა განთქმული სტუმარისმოვარეობა, სტუმრის, მეგობრის კულტი, ამიტომაც ამ გულდია ხალხის მიწაზე სახლდებოდნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, აქ, საქართველოში პოვებდნენ თავიანთ ახალ და მუდმივ სამშობლო... ამ ერთს შორის, თითქმის რეა საუკენე ჰემისატად მეგობარი და თანამოძმე იყენენ და არიან უკრაინელები.

ბევრი რამ აყვაშირებდა ქართველებს ამ უძველეს სლავურ ტომთან – ხასიათის სიმტკიცე, თავისუფლებისმოყვარეობა, კულტურული და პოლიტიკური ინტერესები, კრონორჩიმულება და ბევრი სხვა რამ.

...1860 წლის წემიან შემოდგომაშე, პეტერბურგში პროფ. კოსტომაროვის ბინაზე შეხვდნენ ერთმანეთს უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტი აკაკი წერეთელი და უკრაინელი ხალხის სულიერი ბელადი, კობზარი ტარას შეხენწყო. ამ შეხედრაშე,

ორმა დიდმა ადამიანმა არა მარტო გაიცნეს ერთმანეთი, არამედ ბევრი რამ მოუთხრეს თავიანთი ხალხების ისტორიის, წარსულისა და აწყოს შესახებ. შემდგომ, დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი, იგონებდა რა ამ ისტორიულ შეხვედრას, ხახვასმით იმეორებდა ტარას შევჩენკოს სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ბევრი რამ აქვთ საქრთო ამ ორ ხალხს“ – ქართველებს და უკრაინელებს: ხასიათიც, ისტორიაც და უძრავი რამ“.

კ. წერეთელსაც და ტ. შევჩენკოსაც სბულდათ ბატონყმობა, ძალომომრეობა, უსახლესოდ უყვარდათ თავიანთი დაბეჭავებული, შეურაცხოფილი და დამცირებული ხალხი, ამან უკარანახა ტ. შევჩენკოს:

.... на воскревшейся земле

Врага не будет супостата,

И в каждом будешь видеть брата

И будут люди на земле“.

ურთიერთყაშმიანმა არა მარტო დაახლოესა უკრაინისა და საქართველოს ხელოვანნი, არამედ გაუხსნა კიდევაც ახალი, ფართო პროიზონტები, ეს იყო ქმედითი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა ორი ერის სულიერ განვითარებას.

რაც უფრო ინტენსური, ღრმა იყო ქართულ-უკრაინული კავშირები, მთ უფრო ნათლად ისახებოდა უკრაინისა და საქართველოს ხელოვანათ შემოქმედებითი მოღვაწეობა, ისინი ამდიდრებდნენ ერთმანეთს ახალი იდეებით, სახეებით, ჟანრებით, ხალხური შემოქმედების შედევრებით.

განმასავისუფლებელ მოძრაობის სხვადასხვა ერაბზე უკრაინელი და ქართველი ხალხების სულიერი ერთობის ნიადგზე იქნებოდა დრამატული ნაწარმოებები, სცენური დადგმები, რომელებიც ღრმა ფესვებით იყვნენ დყავშირებულნი ცხოვრებასთან. ხალხურობა, სოციალური კონფლიქტების მართალი ასახვა, ცხოვრებისა და ყოფის ეროვნულ თავისებურებათა ჩეკება წარმოადგნდა იმ ნიადაგს, რომელიც აერთიანებდა საქართველოსა და უკრაინის ხელოვნების მოღვაწეებს.

უკრაინელებისა და ქართველების თეოთმყოფადი ხალხური შემოქმედება, მიუხედავად მათი სპეციფიკისა, ცოლობდა შეხების წერტილებს, ბადებდა გამოხატვის ხერხების მსგავსებას. ცნობილია, რომ უკრაინა და ბელორუსია შეა საუკუნეებიდან რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, მათ აკავშირებდათ ძელი რუსეთის სახელმწიფო ორგანიზმი, ენობრივი და სახოგადოებრივ-სოციალური კულტურა.

ხალხურ შემოქმედთა მრავალი თაობა აყალიბებდა ეროვნული პროფესიული თეატრის საფუძვლებს. სლავმა ხალხებმა შექმნეს მდიდარი თეატრალური კულტურა, რომელიც ფესვებითა დაყავშირებული ფოლკლორთან, ხალხურ სანახობებთან.

ბევრი სანახაობა, რომელიც წელიწადის დროის ცვლასთანაა დაყავშირებული, ანათესავებს უკრაინულ ხალხურ სანახაობებს ქართულთან. ასე მაგალითად, საშობაო უკრაინული „კალადოვანი“ („კალანდობა“), დაყავშირებული ძევლ ბერძნულ კალენდებთან, ძველ ქართველებსა და უკრაინელებს აკავშირებდა რიტუალის მსგავსება, თვით მათი სახელწოდებაც ერთი ფესვიდნ მომდინარეობდა.

ჩეკეს შრომაში – „ქართულ-უკრაინული თეატრალური კავშირები“ („ხელოვნება“ რუს. ენ. 1984, გვ. 11-24) უკრაინულ და ქართულ სანახაობათა შედარებით ანალიზი ჩავატარეთ და უამრავი დამთხვევები აღმოვაჩინეთ რიტუალურ, რელიგიურ, ყოფით და სხვა სანახაობებში. ეს სანახაობები, ბერივაობიდან დაწყებული, ბევრ რამეში

ჰგავდნენ ერთმანეთს. საქართველოშიც იმართებოდა საფერხულო თამაშობები, გზაზე უძღვისა და ზამთრის დღესასწაულების რიტუალები, გარდაცვლილი ღვთაების მისტერიული წარმოდგენები (მაგ. კოსტრომენის დატორება უკაიანაში, მოსაკრასიანის ღვთაების დატორება საქართველოში) ამას ადასტურებენ არქეოლოგიური გათხრები, ფოლკლორი.

სლავი და ქართველი ხალხების სანახაობები ერთნაირად უკავშირდებოდა შრომის თამაშობებსა და სიმღერებს, ნადირობასთან და სოფლის მურნეობასთან დაკავშირებულ სანახაობებს.

საფერხულო თამაშობები, რომელიც შრომის პროცესებიან იყო დაკავშირდებული, ხალხმა საკუნძულების მანილზე შემოინახა.

გავისხენოთ ქართული საფერხულო სანახობა „ნალი“, რომელიც შრომის პროცესებთანა დაკავშირდებული, ან „ამირანის ფერხული“, „აუთანდილის ფერხული“, „თავფარავნელი ჭაბუკი“. ბევრი შეგვეხადა აქეს მათ უკრაინულ სანახაობებთან – „ლიალია“, „კრასნაია გორკა“, „ყაყიჩი“, „კურდლელი“, „კუვავი“, „დედა და ქალიშვილი“, „მელანქა“ და ა. შ.

ბერივები ბევრ რამეში უკრაინულ სკომოროხებს ენათესავებოდნენ – ერთნაირად სინკრეტული ხელოვნება ჰქონდათ, რომელიც მათი ხალხის ცხოვრებას გამოხატავდა. ჩენ არა გვაქეს საშუალება დაწერილებით განვიხილოთ ის მსგავსებები, რომელიც აკავშირებდნენ, ანათესავებდნენ როი ხალხის ხალხურ შემოქმედებას. ამ პრობლემით დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს დ. ჯანელიძის, ა. ბელეცკის და ჩემს შრომებს.

ცნობილი მეცნიერები და ისტორიისი გ. ბოიაჯიევი თავის შრომაში – „შეასუკუნების თეატრის ხალხური საწილები“ წერდა: „სწორედ საკულტო სიმღერებში, ცეკვებსა და თამაშობებში, რომელიც ბენების ძალებს, შრომის, საწარმო პროცესებს ეძღვნებოდა, ჩასმული იყო ევროპის ხალხთა თეატრალურ ქმედებათ საწილები“. (გ. ბოიაჯიევი, შეასუკუნების ისტორიის აკადემია. დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორია. ტ. 1, მოსკოვი, 1956, გვ. 17 (რუსულ ენაზე). სწორედ თეატრის საწილების ერთიანობაში, მსგავსებამ დაკავშირა ერთმნიერთან ქართულ და უკრაინული თეატრები, თვით ხალხების სულიერმა მსგავსებამ და ერთობამ განსხვდვრა მათი მომავალი – შეუბლალავი ძმობა შეასუკუნებში. როგორც კი ჩამოყალიბდა კიევის სამთავრო (X-XI ს.), ვაკრებმა დაიწეს დაკავშირება შორეულ ქვეყნებთან. კიევის თავადი იაროსლავ ბრძენი კავშირში იყო გერმანიის იმპერატორისან, ურიიკერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, უნგრეთთან, საფრანგეთთან, სკანდინავიის ქვეყნებთან. მისი ქალიშვილები ევროპის მმართველთა, მეფეთა მეულეები გახდნენ, ერთ-ერთი მათგანი საფრანგეთის დედოფლადიც გახდა, აღმართ ამიტომაც, იაროსლავ ბრძენს „ევროპის სიმართ“ შეარქეს. რასკვითელებია, კიევის სამთავროსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ ინტერესებს, ამიტომ იდებოდა სამეფო საქორწინო კავშირები. ეს ხალხები ქრისტიანულმა რელიგიამაც დაკავშირა. ეს კავშირი საქართველოსანაც ჩაისახა და განვითარდა, „ობებების“ ან „ობეგანების“ (ქართველების) კავშირი დამყარდა „ვარინგებონ“, ანუ „სკალავებონ“ (სლავერ ტომებონ). ეს კონტაქტები დამყარდა დარიალის ხეობის, ტამანის ნახევარუნძულის და საზღვარგარეთის მონასტრების ათონის, ბულგარეთის, იერუსალიმის მეშევრით. კიევის რუსეთი დებდა მეგობრულ კავშირებს ქართველ მეფეებთან, მონასტრებობდა მის ომებში. დიდი მნიშვნელობა

პეტრი დანიასტიურ ქორწლებს – 1154 წელს კიევის თავდღმა იხილსლავ შეცდნლავის ძემ იქორწინა ქართველი მეფის დემეტრე I ქალიშვილ რუსულანზე დაბლობაზე ურთიერთობები დიდად უწყებდნენ ხელი უთიერთგაცნობას, დახლოებას, როგორც დიმ. ჯანელიძე აღნიშნავდა, საელჩიობს მოსდევდნენ „გამრთობები“ – ცემორიკისები. ისინი ქართველ მეფეთა კარზე თავიანთი ხელოვნების დემონსტრაციას ახდენდნენ და სასახლის კარის ბერიებად იწოდებოდნენ. კიევის სამთავროს ქრისტიანობა ახალი მიღებული პეტრი (988 წ.) და ქრისტიანული კელების მშენებლობის დიდი გამოცდლება არა პეტრი, ამიტომ როგორც XI ს. ძევლი რუსების ისტორიული დოკუმენტი აღნიშნავს („ამატერიკ კიევო-პეტრის გორგო მონასტრია“ (რუს. ენ.)“), უკრაინაში, საბერძნეთიდან და საქართველოდან იწვევდნენ მოზაიკის ოსტატებს, რომელთა ოსტატობის ნიმუშები დღესაც ამშენებს კიევო-პეტრის მონასტრის კედლებს. უკრაინულ ურნალში „ფოლკლორ ტა ეტნოგრაფია“ რამდენიმე წლის წინ გამოვაჭვენ წერილი დაბა წალევრის მაბლობლად მდებარე კიმოთესების მონასტრის მოხატველობათ (აქ წარმოდგენილი იყო ქილიების თამშობანი) და კიევის სოფიის ტაძრის კაბის მოხატველობათა დიდი მსგავსების შესახებ, რასაც ქართველმა ხელოვნებათმცოდნებმა ადრე მასქაიეს ფურადღება. ქართული ხელოვნების გავლენის შესახებ კიევის რუსების ხელოვნებაზე აღნიშნავდა პროფ. ბ.დ. გრეკოვიც (ბ.დ. გრეკოვი, „კიევსკაა რუს“, მოსკოვი, 1944, გვ. 15 რუს. ენ.))

თავის შრომაში „იერუსალიმში მოგზაურობა“ (XIII ს.) რუსი მოგზაური იგნატი წერდა, რომ „ორუსალიმის იძერის მონასტერში ქართულად წირავდნენ, იქ გურჯები ღორულობდნენ“...

საქართველოსა და კიევის რუსეთს ბევრი რამ აკავშირებდა, ეროვნული თვითმეტოვადობის დაცვისათვის ორი მოძმებები ხალხი გამოცდლებას ცვლიდა, ექებდა ერთობლივ გზებს ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის, კანონმდებრი გახდა იდეების, ესთეტიკური პრინციპების, სიუჟეტების, მხატვრული სახეების ერთობლივი განვითარება.

... უკრაინის საკულტო თეატრმა უდიდესი როლი ითამაშა მრავალი ხალხების კულტურულ ცხოვრებაში.

XVII საუკუნეში სასკოლო დრამები იდგებოდა კიევო-მოგილიანის სასულიერო აკადემიაში, შეიქმნა პიესები რელიგიურ თეატრის სასკოლო თეატრი ჩამოყალიბდა მოსკოვშიც.

სასკოლო თეატრმა საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყება ფუნქციონირება.

საქართველოს რუსეთთან დაახლოებების შემდეგ შეიქმნა ქართული ორიგინალური და თარგმნილი საეკლესიო დრამატული ნაწარმოებები. თბილისში (1756) და თელავში (1782) გაიხსნა სასულიერო სემინარები. ამას მოჰყვა სასკოლო თეატრის ჩამოყალიბებაც, რომელსაც მფარეველობდნენ თელავის სემინარის რექტორი დ. ალექსი-მესხიშვილი (თელავი) და გაიოჩ ბარათშვილი – გაიოჩ რექტორი (თბილისი).

უკრაინული „რეგლამენტების“ (წესდების) მიზევით სემინარისტებმა დაიწყებს სასკოლო, რელიგიურ სიუჟეტებზე დაწერილ დრამების დადგმა (აქციები, დისკუსიები, კომედიები, რიტორიკული გენერციციები) და ამ წარმოდგენებს თვით ერკელ II ესტრებოდა. ქართველ აქტორთა სასულიერო დრამების გარდა, ითარება და ქართულად დაიდგა პ. მოგილის „აღსარება“ („კატებიშის“), მთარგმნელი-პოეტი არჩილი,

უკრაინულიდან სასკოლო დრამებს თარგმნიდნენ ვინმე დიმიტრი, ნ. ოლენიანა (გამოცემული ბაკარ ჯოხია), ავთანდილი, პოეტი დიმიტრი საკაძე, გორგე ბერიშვილი, გიორგი ალექსიშვილი – ანჩისხატელი, რაჭის ერისთავი დავითი, სპირიძინ აშვილი და სხვები. ითანა ბაგრატიონმა თავის „კალმასობაში“ გამოიყენა პ. მრგვილას „დარიგებები“ XVIII საუკუნიდან პოპულარული გახდა დიმიტრი ტერდალი (როსტოკელი). გაიზარდა რეგეტორმა თარგმა „ლეიტიმისტობლის საკითხავი“, ასევე გაბრიელ ჩხეიძემ თარგმა მისივე სამი ნაწარმოები (პროფ. ტ. რუხაძემ დააღინა, რომ ქართულ მისტერია „რუსულში“ გამოიყენებული იყო დ. რისტოკელის ნაწარმოები).

საინტერესო და შეძლებება საუკალურ კვლევას მოიხსოვს დიმ. როსტოკელის „ივერიის გაბრიფინება“ „პროსვეშენიი ივერიი“, სტეფანე ავორისის, თ. პრიოროვჩის და სხვა უკრაინულ აეტორთა ნაწარმოებები. XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიებოდა კიევი, მისი ცხოვრების აღწერილობა. პ. შალვაგამიშვილმა და ნ. დადანმა საცეკვალური ნაწარმოებიც კი დაწერს. კულტურულ დაახლოებას დიდად უწყობდნენ ხელს უკაინში მყოფი ქართველ ემიგრანტები, რომლებიც ცხოვრობდნენ პოლტავის, მირგოროდის, ლუბნის, პრილუცის (პირატინი) მიწებზე. მათ შორის იყენებ პოეტები, მწერლები, წიგნისმოყვარენი. გავხსენოთ თუნდაც პოეტი ჯვახიშვილი, ო. ფავლენიშვილი და სხვანა. ხორილი მცხოვრებმა ცნობილმა ფილელორისტმა დ. წერეთელმა შეაგროვა და გამოსცა უკრაინული „დუმები“, სიმღერები, ქართველი ინგირის ნ. ბარათაშვილის ხელმძღვანელობით აშენდა რეინიგშა გლუროვოდანგ ქრემბიჩუკამდე და სხვა.

XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელიც უკრაინაში ცხოვრიობდნენ და მოღვაწეობდნენ, პირველ რიგში უნდა ვახსენოთ პოეტი და ფილოსოფოს დავით გურამშვილი, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი უკრაინაში გაატარა და მირგოროდშია დაკრძალული. მის საფლავზე დღემდე უკრაინელები კოველ წელს აღნიშვავნ „დავთოობას“. დ. გურმიშვილი მხოლოდ კი არ ცხოვრილია, არამედ აქტიურად მოღვაწეობდა. ეს იყო ფილოსოფიურად მოახორცენ ადამიანი, რომელიც მთელ რიგ თავის შეხედულებებში ენათესავებოდა იმ ძროის გამოჩენილ უკრაინელ ფილოსოფოსს გრიგორი სკოვორიდს. უკრაინელმა მყვლევარებმა ო. ნოვიცკიმ და დ.კოსარიიება არა მარტო მონახეს და აღმარჩინეს დავით გურამიშვილის საფლავი, არამედ ბევრი რამ თარგმნეს და გააკრცელეს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უკრაინაში.

ჩვენს, უკვე მოხსენიებულ შრომაში (ნ. შალუტაშვილი, ქართულ-უკრაინული თეატრალური კაშირები, „ხელოვნება“, 1984, გვ. 37-43 (რუს. ენ.)) გაანალიზებულია და გავლებულია პარალელური დავით გურამიშვილისა და გრ. სკოვოროდას ნაწარმოებთა შორის...

ცნობილი უკრაინელი პოეტი, ფილოსოფოსი, პედაგოგი, მუსიკოსი და მოქაური ოცნებობდა მოქაბულებინა საქართველო. მასაც, ისევე როგორც დ. გურამიშვილს, აღელვებდა ერთ და იგივე – ხოცალური უსამართლობის, სკეთისა და ბოროტების, სიცოცხლისა და სიკვდილის, ზოგიერთი ლეიტიმისახურითა ყალბი მორალის პრიმლებები.

გრ. სკოვორიდს, ისევე როგორც დ. გურამიშვილს, აღელვებდა და ანტერესებდა თეატრი, სასკოლო თეატრი. ხაროვის გუბერნატორთან ე. შევრბინინთან საუბრისას გ. სკოვოროდამ ცხოვრება შექსირივით თეატრს შეადარა და აღნიშნა: „ცხოვრება თეატრსა ჰგავს. მისათვის, რომ თეატრში კარგად და სანაქებოდ ითამაშონ, ადამიანები

როლებს ირჩევენ თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით“.

ორიეგ პოეტი მამხილებელი იყო, ქადაგებდა ცხოვრების გონიერ ფორმებს, და გურამიშვილის დრამატული დაღოვები თავისი თემატიკით და ფანრის მიერთ მაღალი ახლოსაა გრ. სკოვოროდს შეხედულებებთან (ამ მსგავსების დეტალური ანალიზი ის ზემოაღნიშვნელ მრომაში).


თეატრისადმი ინტერესი დ. გურამიშვილს აკეშირებდა დრამატურგ კაპნისტანაც...

ამგვარად, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ უკრაინისა და საქართველოს ხალხურ-სანახაობრივი კულტურა, მისი ფოლკლორული ფუძე ძალის იყო ერთმნიერთონ. XVIII საუკუნიდან კი კულტურული კუმირები რო ერთ შორის ფართოდ გავრცელდა სასკოლო თეატრის მეშვეობით და ხელი შეუწყო ქართული სანახაობრივი კულტურის წინსვლას.

ურთიერთობის ახალი ეტაპი დგებოდა, როდესაც ქართველები არა მარტო უცნობოდნენ უკრაინულ თეატრის მიღწევებს, არმედ სასკოლო თეატრის მეშვეობით გადავიდნენ სცენური ხელოვნების და დრამატურგიის ზოგიერთ ელემენტების ათვასებაშე. რაც გამოიხატა სასკოლო დრამების ქართულ ენშე თარგმნასა და მათ სცენაშე დადგმში. დიდმა ქართველმა პოეტმა დ. გურამიშვილმა ბევრი რომ შეთვისა უკრაინული სასკოლო თეატრის გამოცდილებიდან და შექმნა ის ახალი ნაწარმოებები, რომლებიც წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქართული ლიტერატურისა და თეატრის განვითარებაში.

XIX საუკუნემდე არსებული წინა პერიოდი იყო მხოლოდ ურთიერთგაცნობის და უფრო რეგულარული კავშირების დამყარების პერიოდი. დაიწყო XIX საუკუნე და ჩამოყალიბდა ახალი ეტაპი უკრაინულ-ქართული ურთიერთობისა, რომელიც ახალ ხარისხის სახეს აძლევდა ქართულ-უკრაინულ კულტურულ და თეატრალურ ურთიერთობებს.

# ქართული თეატრის განახლების 150 წლისთავისათვის



ღავით თევზაძე

## თვალი მათი გადავდეთ...

„ხომ იცი თვატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა  
დაცუმული ხალხისათვის, მაგის (თვატრის – დ.თ.) მეტი  
ნაციონალობის ნიშანწევალი ჯერჯერობით ჩვენ არა  
გვაქვს რა! ეგ ადგილია, საგაც ჩვენა ენა საჯაროდ  
ისმის და საჯაროდ მოქმედის. ესეც საკმაოა, რომ  
კაცმა თავი გამოიდის, თორემ თვატრს ხომ სხვაც  
ბეჭრი სიკეთ მოსდევს“.

იღვა ქავეჭაძე

(ი. ოქროტეტედლიობელი გაებავნილი წერილობან).

მე-18 საუკუნეში თბილისისა და თელავის სემინარიების სასწავლო პროგრამებში  
გათვალისწინებულია რიტორიკა.

აღ. ობელიანის ცნობით, თელავისა და თბილისში მეუე ერეკლეს დროს ქართულ  
კომედიებსაც თამაშობდნენ.

ამავე საუკუნის ბოლო წლებში საქართველოშიც ყალიბდება ეკრაპული ტაქის თვატრი:  
მაფურქებელი იძრნა ბილით, რომელსაც წირწერა ჰქონდა: „მური ორი, გაძრიელ მაორი“.

ერეკლე მეუე ქართულ ახალგაზრდებს აგზანიდა განათლების მისაღებად რესეტში  
(დავით ბატონიშვილი, გიორგი ავალიშვილი, იოანე ორბელიანი და სხვ.). აღსანიშნავია,  
რომ ამ პერიოდში რესეტის თეატრებში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მსახიობი  
და რეგისირი სიღლეებ ნიკოლოზის ძე ზანდუელი (1756-1820), ანუ სანდეზოვი. ამ  
ხანებში ქართული დრამატურგიის და თვატრის მამამთავრად აღარებულია გიორგი  
ავალიშვილი...

ამ დროს ქართული თვატრის რეპერტუარისთვის პიესები ითარგმნებოდა როგორც  
ფრანგული, ასევე რუსული და ბერძნული ენებიდან; არსებობდა XVIII-XIX საუკუნების  
ქართული პიესებიც, რომლებიც იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ამ დროს ქართველი ხალხის,  
მათ შორის მსახიობთა უპარველეს ამოცანა იყო სამშობლოს დაცვა.

კრწინისის ომის მბრძობები თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით: „მცხოვრებთაგან  
ტუფილისისათა გამორჩეულ იქმნენ კაცნი მამაცნი და მარჯვენა, რომელთაცა აღინიშეს  
წინამძღვრად თეისად კაცი ვინე მსახიობი. ესე იყო ერთი წარჩინებულითა საკრავთა და  
მსახიობთა მეფისათა მუშიერი და კომედიონტი. და ეს იყო უფროისი მსახიობთა შორის და  
ცნობილი იყო სამეფოსა შინა. ესე იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითა ქართველი,  
რომელსა სახელს სდებანენ მაჩაბელად. ესე უძღვა გუნდასა მას ტფილისელთასა მტერთა  
მიმართ და ეპრა ხელთა მისთა ბარბითი, ე.ი. დაირა და უკურიდა მას ზედა შადიანსა, ჟი-

ხმასა მას, რომელსაც ლხინსა შინა დაუკერენ; ფამისა შინა უშეტეს სიხარულისასა, ვინაიდან ხმაი ესე გაბამხარულებს, ხოლო მტრძოლნი ესე იყვეს მცვირცხლი და მიმართეს ქვეთად და ბრძოლეს მტერთა ფაცხელად“.

აღნიშვნულ რაზმს აღა მაპმად-ხანის დროშებამდის მიუღწევია და მათი პრძოლით გაცირკებულ აღა მაპმად-ხანის უთქვამს: „სიყრმითაგან ჩემით ვიღრე აქმომდე დამცოლების ბრძოლასა შინა და არაადა მიზილავს მე წინააღმდევნი ვითარ ესე კაცი ჩემდა მიმართ ჰყოფენ ბრძოლასათ“. \*\*\*

ასე შეწირა 1795 წელს ქართველ მახიობთა დასი, თავის ხალხთან ერთად, გმირულად აღა მაპმად-ხანთან ბრძოლას.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში იმართებოდა გარედამაცალი პერიოდის საოცხო თეატრალური წარმოდგენები.

1845 წელს, შემოდგომაშე, თბილისში გაიხსნა რუსული პროფესიული თეატრი.

ქართული თეატრის ორგანიზაციას შეუდგენ მხოლოდ 1849 წელს; თეატრს სათავეში ჩაუდგა თვით გ. ერისთავი, რომელსაც ამ დროს დაწერილი პერნდა პიესა თავადაზნაურთა ცხოვრებიდან „გაფრა“.

ერისთავის დასი შედგებოდა „კეთილშობილთა წოდებისგან“.

და ამ, 1850 წელს, 2 დანვარს თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში გ. ერისთავმა



სოხუმის ქართული, რუსული და აფხაზური დრამების მსახიობები. პირველ რიგში სხედა: დავით თევზაძე, ა.ბოეუჩავა და მისი ვოგონა – ია ბოეუჩავა, სიმეოზა, სხედა: ქანაძე, ბურლაკოვა, დალიკავა, ირიბა დონაური, ნორა გოფანი, თამარ მაკარაშვილი, რეჯისორი ბერზი სვანი, ცენტრში სათვალეებით სერგო ჭელიძე, მის ხელმაციც ბნივ მსახიობი ნიჩვარივა, წევრ-ულვაშით ლოტბარი ქიწი გევარეკორი, ძოლო რიგში მარჯნიდან: იახონ ქობაძია, გე. შაქირბაია, გ. კოვეტი

წარმოადგინა კომედია „გაყრა“.  
სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა.

დიდად ქმაროვულმა ერისთავმა 1850 წლის ანერში იგივე წარმოდგენა გამჭირის, ხოლო 3 მაისს იმავე ძაღლით განახორციელდა თავისი მეორე კომედია „დავულისა და მარიამა“.

გიორგე ერისთავის თეატრში ფაქტორად მხოლოდ 5 წელი იარსება. მაგრამ მ მცირე დროის განმაჟლობაში მეტად დიდ საქმე გაკეთდა – უპირველეს ჭოელისა, განახლდა და აღირინდა ნამდვილი რეალისტური თეატრი თანამედროვე გაგებით. შეიქმნა ქართული ორიგინალური რეალისტური დრამატურგია, რომელიც, თავის მხრივ, ტრიის მიმცემი შეიწარ ქართული ლიტერატურისათვის. ა. უპირველეს ჭოელისა, მხეველობაში მყავს თვით გიორგი ერისთავი, რომელმაც ძირითადად პირველმა გაიკვლია ქართული რეალისტური დრამატურგიის როცვაზე გზა. შექმნა მთელი სკოლა ანტროპოზოს, ი. კურესელიძის, გ. ჯაფარიძის, დავანაძის, მეფარიანისა და სხვათა სახით, რომლებსაც შემძლები მოჰყევა ქართველ დრამატურგთ მთელი თაობები: აღვესანდრე ცაგარელი; აღვესანდრე ჭაბუკი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, შალვა დადანი, ტრიფონ რამიშვილი, ნიკო შეუკაშილი და სხვ.

მომზადდნენ რეაქისორთა კადრები, თეატრისტცოდნეთა და კრიტიკოსთა თაობები.

სამწევაროდ, იმდროინდელი დრამატურგიის რეალიზმი მოკლებულია ქართული მწერლობისათვის ესოლენ დამზადასათხებელ პოეტურობას, სინატიფეს; მასში მოკლენები ხშირად ასახულია ნატურალისტურად, ენა ლარიბია. ლიტერატურული ღირსებით გ. ერისთავის კომედიური სკოლის პიესები და თუნდც ა. ცაგარელისა, ვერ შეერტობა ვერც თავის პიესებს რომანტიკულ პიესათ და ვერც 60-90-იანი წლების ქართულ რეალისტურ მწერლობას. შემთხვევითა არ იყო, რომ დიდი ქართველი რეაქისორი კოტე მარჯანიშვილი ქართულ ეროვნული დრამატურგიის ორიგინალურ ხასიათს ქებდა მხოლოდ დავით კლდიაშვილისა და შალვა დადანის პიესებში.

მუ-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მუ-20 საუკუნის დასაწიასში ქართულ დრამატურგიას არ მოუცა ისეთი დიდი სახელმი, როგორიც მოგვცა ეროვნულმა ლიონიამ და ეპოსმა, კერძოდ, ბადალი ილა ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, აღვესანდრე ვაჩხებულისათვის, დავით კლდიაშვილის, ვასილ ბართვის, შიო არაგვისპირელისა და ჭოლა ლომთამიძის, ნიკო ლორთქიფანიძისა და მიხეილ ჯავახშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდის, იოსებ გრიშაშვილის, ტიცელან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის. დრამატურგული მეტვიდრეობის ხევდრითი წინა მათ ეპიკურ ქმნილებებით მეტად მცირეა, ხოლო შალვა დადანის, სანდრო შანდიაშვილისა და სხვათა პიესები ჭოელოვას ვერ დგას არამცუთე ქართული ლიტერატურის საერთო ღონებებს, არამედ თვით ამავე ავტორთა სხვა ტანაში შექმნილ ნაწარმოებთა სიმაღლეზე.


1854-55 წლებში თეატრში სეზონი გახსნა „ქოროლლით“, რისთვისაც გას. „კავკაზი“ თაეს დაესხა თეატრს და გ. ერისთავაცი ჩამოაშორია. იგი შეცვალა ნიჭიერმა აქტიორმა ზურაბ ანტონოვამ, მაგრამ იგი მაღლ დაიღუპა ჭრაგიულად და თეატრს სათავეში ივანე კერესელიძე ჩაუდგა.


მეფის მთავრობამ თეატრების საქმიანობის გამორჩევა დაავალა სახელმწიფო თეატრის დირექციის ჭიათურის შემცირებულ გრაფ სოლოგვებს, რომელმაც მეფისნაცვალს წარუდგინა მოხსენება თეატრებს მეშაობის.

ა. რას წერდა სილოგვები:

„ხელოვნების თვალსაზრისით ქართული დასის მოხსენიებაც კი არ შეიძლება.

დაყარგულად უნდა ჩაითვალოს ერთი გროვის დახარჯვაც კი, მ თანხებიდან საერთოდ, რაც გადადებულია თეატრის დასახმარებლად.





სცენა სოხუმის თეატრის სპექტაკლიდან „რივეზა“:

ქართული თეატრის ისტორია, როგორც ცნობილია, მეტად სავალალოა. დასის პირადი შეღებილობა შეკრებილია ველურებისგან. ის სამი-ოთხი პიესა, რომელსაც ისინი თამაშობდნენ, ვერავითარ ლიტერატურულ კრიტიკას ერ უძლებდნენ...“

(ს. გერხაძია, გიორგი ერისთავის თეატრი, 1850).

\*\*\*

60-80-იანი წლების ფურნალ-გაზეთები: „ცისყარი“, „საქართველოს მოაბე“, „მნათობი“, „ივერია“, „თეატრი და ცხოვრება“ საზოგადოებას მოუწოდებდნენ პროფესიული თეატრის აღღებისაცნ.

აღსანიშნავია, რომ დრამატულ სპექტაკლებთან ერთად იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები... რასაც მეფის მთავრობა ებრძოდა.

60-იანი წლებიდან თეატრის ქადაგი მთელ საქართველოში გაფართოვდა.

– პირველ სპექტაკლი ჭუთასში 1861 წელს, კორსა და ხონში 1865 წელს, თელავში – 1867 წელს, ინტერეტისა და ზუგდიდში – 1868 წ. სიღნაღმი – 1872 წ. აბალცხეში – 1874 წ., ცხინვალში – 1875 წ., ბათუმში – 1879 წ., გამართა. 1873 წელს ბანბაში დაიდგა შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“. იდგმებოდა აყაიბი, ი. ჭავჭავაძის პიესები, ა. ფურცელაძის „დიდ მოურავი“, დ. ერისთავის „სამშობლო“ და სხვ.

1879 წელს მასში იღიას თაგვიდომარეობით დრამატულმა კომიტეტმა დასა მუდმივი თეატრის დაარსების საკითხი.

1879 წელს მასში შედგა მუდმივი თეატრის დასი და დაიღი ხელშეკრულება აქტიორებსა და აღმინისტრაციას შორის.

დასში ჩაირიცხნენ: ბაბო ავალიშვილი, ბაბო კორინთელი, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, მარიამ ყიფანინი, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფანინი... ავესენტი ცაგარელი, კოტე მესხი, ნეივ შიშნაშვილი, ზალ მაჩაბელი და სხვ.

თეატრის დაეთმო ქარვასლის ნაწილი. ამ შენობაში თეატრი მუშაობდა 1914 წლის მიერთის ვიდრე ხანძარი განხდებოდა.

1879 წელს 3 ივნისს გამართა პირველი სპექტაკლი. დასი საგასტროლოდ გაემართა გორში, ქუთასში, ფუთში, ბათუმში, ახალციხეში. აღდგენილი ქართული თეატრის ისტორიაში ეს პირველი გასტროლები იყო...

80-იანი წლებიდან თბილისის ცენტრ 180 პირს დაიდგა, აქედან – 62 ქართული, ორიგინალური.

80-იან წლები პროფესიული თეატრი დაფუძნდა ქუთაისში.  
\*\*\*

აი, როგორ მიმართა ილა ჭავჭავაძემ სოხუმში სუფრის წევრებს: „ოქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედ და სასორება ჩამესახა, ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს არ დაეწავერინებით.

... თევენც მიხევდრილი ხართ, რომ დღევანდულს ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერთ ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება. შეიძინოს, ვკონომიყურად წლეში გამატრდეს. ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას ჩემყურებს, აცა რამე გავარდეს ხელიდან და რე ავიღოვო, ის ხალხი ტეუილად ზუ ვლის შორი მანძილი ვაროს ცხოვრისაში“ (იხ. ილა ჭავჭავაძის სიტყვა, ფ. მათობი, 1937, №5, გვ. 159).

1906 წელს სოხუმში ეწვია მსახიობთა აშხანაგობა პალვა დადანისა და ვალერიან შალიაშვილის ხელმძღვანელობით.

1909 წელს სოხუმში გასტროლებზე ჩამოვიდა აშხანაგობა აღ. იმედაშვილის ხელმძღვანელობით.

10-იანი წლების მიწურულს ქუთაისის თეატრს სათავეში ჩაუდგა ლადო მესხიშვილი, რომელიც დასს სახელობად ხელმძღვანელობდა 1906 წლამდე. მან გამოაცოცხლა ქუთაისის თეატრი...

1912 წელს დრამ-კოლექტის ხელმძღვანელობს შალვა დადანი, პარალელურად თეატრში იმართებოდა კინცერტები; მსახიობები ჩანაიდნენ გაერაშიც. სადაც დიდი პატივით ხვდებოდნენ.

\*\*\*

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის შემდეგ, თანადათანიბით სისტემატური ხასათი მიიღო სცენისმოყვარეთა წარმოდგენება; სწორედ ამ დროიდან დაწყებულ სოხუმის ქართულ სცენისმოყვარეთი მოღვაწეობა, რომელიც საცხარში ეღვნება თბილისიდან და ქუთაისიდან ჩასული პროფესიონალი მსახიობები. ესენი იყენება: ლალო აღვესი-მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, შალვა დადანი, ვალერიან გუნია, აღექსანდრე იმედაშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა და სხვები. რომელთა გასტროლება სოხუმში აღიღონიშვილის სპეციალისტის დად კავკაციურებას იწევდა;

სოხუმის დრამატულ წრეში – მიხეილ გვარავა ცნობით, წარმოდგენები იმართებოდა 80-იანი წლების შეახნიდან – 1885 წლიდან; 1886 წელს სოხუმს საგასტროლო ეწვია ლადო მესხიშვილი; 1889 წლის დეკემბერში სოხუმში დაუდგამთ ა. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“; 1890 წლის მემონდა დრამატული კოლექტივი საბაჟის თანამშრომლის სადყოფის მეთაურობით.

1891 წელს სოხუმში ჩამოსულა ლადო მესხიშვილი და დაუდგამს ვალერიან გუნიას „და-ძმა“, რომელშიც ლადო ასრულებდა მთავარ როლს – გაიოს ფალავას.



ნეკრესი - სერგო ჭელიძე

გამგედ დაინიშნა მარიამ დადიანი-აჩაბაძისა.

აფხაზეთის მთავრობამ 1928/29 წელებში დაარსა პროფესიული თეატრი („კიმუნისტი“, 1928, 12 ოქტომბერი).

თეატრი აიყვანეს ბიუჯეტზე.

სოხუმის ქართული დრამატული კოლექტივი ჩამოყალიბდა 1922 წელს (ხელმ-ლი მ. ხერხეულიძე). თეატრის რეპერტუარში იყო ა. წერეთელის „პატარა კაბი“, ე. ნინოშვილის „ერისტინე“, ა. ცაგარელის „ხანუმა“, ნ. მუკაშვილის „მეგობრობა“ და „სიმახინჯე“, ა. სემბათშვილ-იუვინის „დალატი“, ა. ფახბეგის „ქეთევან წამებული“ და სხვ.

ქართული დასის ხელმძღვანელად დაინიშნა დუდუ მნელიძე, ამავე წლიდან სამხატვრო ხელმძღვანელად მოწევულ იქნა ვართანგ ვარიკა (კაჩაძე), რომელმაც მნიშვნელოვანი წელიდან შეტანა სოხუმის ქართული და აფხაზობრივი პროფესიული თეატრის განვითარებაში.

სოხუმის ქართული თეატრის პირველი წარმოდგენი იყო ს. შანშიაშვილის „პერეთის გმირები“, შემდეგ განხორციელდა ბ. ლავრენჯვის „რდევეა“, კოინიჩის „კრაჩანა“, პ. კაკაბაძის „ვარევვარე თუთაბერი“, ვ. კორმონის „პური“ და სხვ.

სოხუმში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადან პირველ ხანებში არ აღმოჩნდნენ პროფესიონალი მსახიობები, მაგრამ მცულე ხანში მოიწვიეს ნინო ჩიჩეა, ელენე ერქომაიშვილი, პროფესიულ თურქია, შ. სანაძე, მ. ჭელიძე, ილ. კუდელი, ი. კამაური, ალ. ივერიელი, თანა ჩარევიანი, ბ. ჯაიანი, შ. ჯაფარიძე, ვ. მაცარიძე, მათ ხელმძღვანელობდა მ. ხერხეულიძე.

სხვადასხვა დროს სოხუმის თეატრში მუშაობდნენ რეესიონერები: ნ. გვარაძე, კ. ანდრონიქაშვილი, ბორის გამრეკელი, ს. ჭელიძე, გ. ურუელი, ლ. პაქაშვილი, გ. გაბუნია, ვ. ფუშტიაშვილი, ა. გამსახურდია, გ. ქავთარაძე, ლ. ჭელია, ვ. ნინიძე, უ-

შემორჩენილია 1908 წლის ფოტო ხურათი, რომელიც აღმატებული დრამატული ხელმძღვანელი სანდრო კანტორი და მჩხადა და ძეცუ ღოლუა.

1892 წლიდან სოხუმში დრამატულ წრეს სათავეში ეღგა ა. ჯუდელი; წრეში გაერთიანებული იყვნენ ვ. ა. ადამია, დები მიმინოშვილები, გ. ფარცანა, ს. კობახიძე, ი. გაგელაშვილი, კ. აბაშიძე, გ. თურქია, მ. გვაჩავა.

თეატრის რეპერტუარში შეტანილი იყო გ. ერისთავის „გაფრა“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, დავით ერისთავის „სამშობლი“, ვ. გუნიას „და-ძმა“, მოლიერის „სკაპენის თინები“ და სხვა.

გ. გელოვანმა დაღვა „სულელი“ და „სიმახინჯე“, ბარათაშვილის როლს ასრულებდა მ. გელოვანი.

სეკეტაკლები წარმატებით ჩატარდა.

1923 წელს სოხუმის ქართული თეატრი საგასტროლოდ იყო გუდაუთაში, რჩამჩირესა და გალში.

გ. კუდელის დაეკისრა რეესიონება, დასის

კაუშლია, გ. ვასაძე და სხვ. თეატრი საგასტროლოდ იყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ღვარეთში, და ნიკოლაევში.

1937-1938 წლის მაისამდე სოხუმის თეატრს ხელმძღვანელობდა გ. ჯვარიშვილი, 1938-1939 წლის ივნისში საქართველოს ხელოვნების სამმართველომ თეატრის სამსახურო ხელმძღვანელად და მთავარ რეეისორად დანიშნა ს. ჭელიძე (ხელ. დამს. მოღვაწე).

ხელობის გაიხსნა იმავე წლის 29 სექტემბერს და თეატრმა უწევნა კ. გიცკოვის „ურიელ აკოსტა“ (დადგმა ს. ჭელიძის, კ. მარჯანიშვილის გეგმის მიხედვით). ურიელ აკოსტა - ლ. ჭელიძა, ივლით - ირინა ღონიაური, ბენ-აკიძა - გ. გაბუნია, ბარუხ-სპინოზა - ნ. ფიფანი, დე სანტოს - მ. გაგნიძე და სილვა - შერაზადაშვილი.

1939-40 წლის სექტომბერი თეატრმა ს. ჭელიძის დადგმით წარმოადგინა „ოტელი“ - ლ. ჭელიძა, დეზდემონა - ირინა ღონიაური, ლაგო - მ. გაგნიძე ემილია - თ. მაკრაშვილი.

სოხუმის თეატრში სხვადასხვა ღრის მუშაობდნენ ქალბატონები: ცაცა ამირეჯიბი, ი. ღონიაური, თ. ჭავჭავაძე, თ. მაკარშვილი, მ. ლაფაჩი, ნ. ფიფანი, (ქართულ და რუსულ სცენაზე), მ. თბილელი, ქ. ლომიათიძე, ფ. შედანია, თ. ბოლქვაძე, ს. განჩელი, თ. ოქტოპირიძე, ლ. გარალაშვილი, მ. გომაშვილი.

ვაშები: მ. ჩუბინიძე, ლ. ჭელიძა, ხიმონ (ბუცა) გამრეკელი, ბ. ზაქარიაძე, აკ. ბორებავა, გ. გაბუნია, მ. გაგნიძე, ზ. ლაფერძე, ნ. მიქმავაძე, ო. კობერიძე, არჩ. გომაშვილი, ტ. ხორავა, ვ. კვაჭაძე, ს. ჯაში, კ. ურაშვილი, ვ. ჩიტიშვილი, ს. კალანდაძე, ფილიანი, გ. რევაზიშვილი, გრ. ფოჩხუა, დ. გეგნავა, ამ სტრიქონების ავტორი და სხვ. მოწვევით მუშაობდა მიხეილ გელოვანი.

სერგო ჭელიძე განხლდათ ხისტების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მთავარი რეეისორი და დირექტორი 1938-1943 და 1948-54 წლებში.



სერგო ჭელიძე განხლდათ ხისტების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მთავარი

# სპექტაკლები

თეატრის  
კახიანი

„ცხოვჩება  
იღიოცისა“

„თეატრის და ცნობების“ ფურცლებზე პირველად წარმოვადგენთ ნიჭიერი დამწევები კრიტიკოსების, თეატრალური ანეტიტურის მეორე კურსის სტუდენტების, თეატრისას და თამუნა მუქერიას რეცენზიებს. იმედი მაქანი, რომ პროფესიული ურნალის მკაფიოებლის დაამასხოვდება ეს ახალი სახელები, როგორც სახელები თვითმყოფადი ავტორებისა, ღრმა და ფაქტიში ანალიზის უნარის მქონე თეატრმცოდნებისა, ხცენური ნაწარმოების კარგი შემთანებლებისა, რომლებიც თამამად იჭრებიან ხელოვნების რთულ ხამართვში და მის უშუალო, ადგევატურ აღქმას აღწევენ. იმედი მაქანი, რომ თეატრი თამუნა მომავალშიც წარმატებით გააგრძელებენ შემოქმედებით წინსელას და მეოთხეულის ინტერესი მათი ერთგული ნაწერის მუდმივი თანამე შავრი განდება.

მიხმილ პალანდარიშვილი

XX საუკუნის დასაწყისში იაპონიაში მოღვაწეობდა ახალი იაპონური ლიტერატურის უკანასკნელი კლასიკოსი რიუნისკე აკუტაგავა. მან შექმა ნაწარმოებები, რომლებმაც მრავალ ათწლეულში გაიყვლიეს გზა. 1993 წელს ისინი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სცენაზე გაცოცხლდნენ და დღევანდელი საქართველოს მცირემაყურებლიან დარბაზშიც კი

წლები გადალახეს. ეს მთელი ეპოქაა, რომელსაც ჯერ დასასრული არა აქვს.

ცხოვრება ბრძოლის ვერს პგავს. მას ყოველთვის სისხლის სუნი ასდის და დაღლილი სიყდილით ემუქრება. სიკედილის შიში აიძულებს ყელას იბრძოლოს. გმირები სხევებს ებრძეინ, იდიოტები კი – საკუთარ თაეს. მათთვის საკუთარ თავთან გამარჯვებაც დამარცხებაა და პირიქით. ისინი ვერც ცო-

ცხლობენ და ვერც კვდებიან, არც უფლება აქვთ დაღლის. მარადიყული ტანჯევაა ცხოვრება იღიოტისა.

„ადამიანის მთელი ცხოვრება ბოდლერის ერთ სტრიქონადაც არ ღირს – თქვა და მაღლიოდან გაღმოხედა უმწეო, საცოდავ აღმიანებს“ წერდა რიუნოსე აუტაგავა, – „იდიოტი ხომ დარწმუნებულია, რომ მის გარდა ყველანი იღიოტები არიან“. აუტაგავას საკუთარი თავი გამოუსწორებულ იღიოტად მიაჩნდა და ეს არ იყო თავმდაბლობა, ეს იყო აღიარება ძალისა, რომელსაც შეეძლო სიცრუის სიბრძნის ჩევნება, იღიოტის გენის აღმოჩენა. ნამდვიდ შემოქმედებაში ამ გენის ნაპერწყალი იძენებად ღვივის, რომ იუარგება საზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის. ამიტომ არ არსებობს ლოგიკური შემოქმედება. პოეტები ფანტაზიაშიც ცოცხლობენ.

ეს არის დღიდი ბრძოლა პოეზიასა და სინამდვილეს შორის, სადაც შემოქმედების ცეცხლით აღტკინებული იღიოტები საკუთარ სულთან ჭიდილში იღუპებიან. კინომსახიობთა თეატრის სცენაც ამ ჭიდილის ამბავს გვიყება სპექტაკლით „ცხოვრება იღიოტისა“.

სცენჩე ეს ამბავი სიგირის ზღვართან მისული მარტოსულების სურათებს მაგონებს. სურათებს, რომლებსაც მარადიყულობაში გადაცყავთ წამი და ამასთან კველაფერი, რასაც იგი მოიცავს. სცენჩე გაცოცხლებას ელფერი არ დაუკარგავს აუტაგავას პერსონაჟებისათვის. ბევრისგან უარყოფილი ინსცენირების ხერხი ამ შემთხვევაში შედევიანი აღიმოჩნდა.

მზერა აღიქვამს და სულს სტკივა სცენჩე გაშიშვლებული შემოქმედის მარტობა. ვინ არის სცენჩე ეს კაცი,

თვალები შეშლილს რომ მიუგავს? იწებ, დემონია, ოდესლაც მიწაზე გადმოგდებული. ან იქნებ, იმ ძალის ნაწილია, ეს დემონი რომ შექმნა? ისიც პირ არა ადამიანური ძალით განიცდს საკუთარი ქმნილებების ხვედრს. მათი ცექრისას ჟილვ უფრო ემღვრევა თვალები – ირეალურში ხორციელად გარდასულს ემგანება. ის აეტორია კველაფრის, რაც კი სცენჩე ხდება და უნებურად უსმენს იღუმალ ხმებს, ირგვლივ რომ რიალებენ და „დიდოსტატის მარჯვნისეულ“ სიბრძნეს გვახსენებენ:

„ვა მას, ვინაც გამოხატოს ცოცხალი არსი. განკითხვის დღეს მხატვრის მიერ გამოისახული პირები გაცოცხლებიან, მიუქრებინ დამხატველს და მოსთხოვენ სულ.“

განკითხვის დღეს ჰგავდა წარმოდგენა. მარტოსული აეტორი საკუთარ სულს ურიგებდა მთხოვნელებს. მათ შორის მაყურებელიც იყო. მაყურებელი, რომელიც უმშერდა, თუ როგორ იძერწებოდნენ სულჩადგმული ნახატები.

რიუნოსკე აუტაგავას მოთხოვოდების, მისი ნაზრევის ინსცენირება დავით დოიაშვილს ეკუთხის. სცენტაცია „ცხოვრება იღიოტისა“ მისი სადიალომონ ნამუშევარია. წარმოდგენა იძენად დახევწილი და გააჩრებულია, რომ დამწეული რევისორის ხელი არსად ეტყობა. შეიძლება პირიქით ითქვას, ეგრეთწოდებული თეატრალური დოგმებისაგან თავისუფალი ახალგაზრდა რევისორი გაბედულ ნაბიჯებს დგამს. მაგრამ ეს სითამაშე ზღვარს არ სცდება და გრუვეულ წინასწორობას ინარჩუნებს. ალბათ, უმთავრესი, რაც შეგირდმა მოძღვრისაგან უნდა ისწავლოს, წინასწორობის გრძნობაა. დავით დოიაშვილი მიხეილ თუმანიშვილის შეგირდი იყო...

